საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

25-26 ივნისი, 2026

სამეცნიერო სესია

ქართული თეატრის კვლევა - ისტორია და თანამედროვეობა

ეძღვნება ქართული თეატრმცოდნეობის ფუძემდებელს, თეატრის ისტორიის ცნობილ მკვლევარს,

პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის 120 წლისთავს

სამეცნიერო სესიის მიზანია: სამეცნიერო სიახლეების გაზიარება და კვლევების ხელშეწყობა თეატროლოგიის, ქორეოლოგიის, კულტუროლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებებით; დიმიტრი ჯანელიძის როლისა და წვლილის შეფასება ქართული თეატრის კვლევის საქმეში.

ძირითადი მოთხოვნები:

- სამეცნიერო სესიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, ისე მაგისტრებსა და დოქტორანტებს. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლებს, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევრებს, რომელთაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი.
- მაგისტრებისა და დოქტორანტების შემთხვევაში აუცილებელია რეკომენდატორის მითითება, საკონტაქტო ინფორმაციით (რეკომენდატორის აკადემიური ხარისხი, მეილი, ტელეფონი).
- მოხსენება უნდა შეიცავდეს სიახლეს, არ უნდა იყოს გამოქვეყნებული ან წაკითხული სხვა რომელიმე სამეცნიერო ღონისძიებაზე.

თეზისების წარდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 1 მაისი.

სამეცნიერო სესიის მასალები დაიბეჭდება კრებულის სახით ან/და მომზადდება ელექტრონული ვერსია და განთავსდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

თეზისები:

- მოხსენების თეზისები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე და არ უნდა იყოს 300 სიტყვაზე ნაკლები;
- შრიფტი: Sylfaen;
- შრიფტის ზომა: 11;
- სტრიქონებს შორის მანძილი: 1.15 სმ;
- აუცილებელია მიეთითოს ავტორის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, დაწესებულება.

მოხსენების რეგლამენტი - **15 წუთი**

დასაბეჭდად განკუთვნილი სტატიის მოცულობა – **7-10 გვ.**

ორგანიზატორი: დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე - ირმა დოლიძე.

თეზისები და მოხსენებები უნდა გადმოიგზავნოს მეილზე: research.institute@tafu.edu.ge

სტატიის წერისას, გთხოვთ, იხელმძღვანელოთ „პუბლიკაციის გზამკვლევით“

ნაშრომის წარმოდგენის ფორმა

პირველ გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენაზე მოცემული უნდა იყოს: სტატიის სათაური, ავტორის/ავტორების სახელი, გვარი, ინსტიტუცია, აკადემიური ხარისხი / სტატუსი.

მონაცემების თანმიმდევრობა:

- ავტორის სახელი, გვარი;
- სათაური;
- საკვანძო სიტყვები;
- ტექსტი;
- წყაროების დამოწმება სქოლიოს პრინციპით;
- გამოყენებული ლიტერატურა;
- რეზიუმე ქართულად, ინგლისურად.

ტექსტი:

- სტანდარტული ტექსტური რედაქტორი (MS Word). მხოლოდ ტექსტი, სურათების, გადატანის ნიშნების და სტილების გამოყენების გარეშე;
- შრიფტის ზომა ძირითადი ტექსტისთვის – 11;
- შრიფტის ზომა სქოლიოსთვის – 10;
- სტრიქონებს შორის დაცილება – 1,15;
- მინდორი: ყველა მხარეს – 2 სმ;
- შრიფტი ტექსტისათვის – Sylfaen;
- ტექსტის მოცულობა – 6 – 10 გვერდი;
- რეზიუმე – 300-500 სიტყვა.

ვიზუალური მასალა:

- ვიზუალური მასალა უნდა იყოს თავისუფალ წვდომაში ან/და გამოყენების უფლებით;
- ფოტოები წარმოდგენილი უნდა იყოს JPG ან TIF ფაილების სახით (მაღალი გარჩევადობის, არა უმცირეს 300 dpi) ცალკე ფოლდერში, დანომრილი ტექსტურ ნაწილთან შესაბამისობაში;
- ილუსტრაციის მითთებისას ტექსტში გამოიყენება აღნიშვნა: სურ. …
- ილუსტრაციები უნდა დასათაურდეს ნუმერაციის მიხედვით და წარმოდგენილი იქნას სიის სახით.

სქოლიო:

სქოლიოში მიეთითება გამოყენებული ლიტერატურის მოკლე ვერსია, სათაურის საკვანძო სიტყვებით (სრული სათაურები მითითებული უნდა იყოს გამოყენებულ ლიტერატურაში). მაგ., ბერიძე, საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994, გვ. 36

გამოყენებული ლიტერატურა:

- წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტის ბოლოს, ანბანის მიხედვით, ქართული და შემდეგ უცხოენოვანი ლიტერატურა;
- სათაურების დასახელებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის ან რედაქტორის გვარი, სახელის ინიციალი, სათაური, გამოცემის ადგილი და წელი, სტატიის შემთხვევაში – პირველი და ბოლო გვერდის ნომრები;
- ვებგვერდზე განთავსებული ნაშრომის მითითებისას აუცილებელია, ასევე, ავტორის, სათაურის, წელის და ვებგვერდის მისამართის მითითება.

მაგალითები:

- ბერიძე ვ., *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება,* თბ., 1994;
- Amiranashvili Sh. *Medieval Georgian Enamels*. New York, 1965;
- მაღრაძე ვ., *დაკარგული მელოდიების კვალდაკვალ,* ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება,“, #4, 1966, გვ. 16-27;
- Weitzmann K. *The Mandylion and Constantin Porphyrogennetos.* Cahiers Archéologiques, XI. Paris, 1960, p. 163-184;
- თუმანიშვილი ე., *სცენოგრაფიის განვითარების ტენდენციის შესახებ* (ზოგადი სურათი-მონახაზი: 1920-1970-იანი წლები), Ars Georgica, 2017, ელექტრონული ჟურნალი http://georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/213.html?ed=18
- გაზ. „კომუნისტი“, #114, 1927.

რეზიუმე:

რეზიუმე უნდა ასახავდეს ნაშრომის ძირითად შინაარსსა და კვლევის შედეგებს.